1 სექტემბერი

რიგითი ჟამის XXII კვირადღე, «გ», [II], მწ

2019 კვირა

ზირ 3,17-20.28-29; ფს 67; ებრ 12,18-19.22-24; ლკ 14,1.7-14

ყველა, ვინც თავს აიმაღლებს, დამდაბლდება, და ვინც თავს დაიმდაბლებს – ამაღლდება ლკ 14,11

ერთ დღეს ორმა ძმამ ერთად შრომის დავალება მიიღო. მათგან უფროსი მიხვდა, რომ მეორე ყოყმანობდა ერთად მუშაობაზე. საკითხი საკრებულოს წინამძღვრის წინაშე დაისვა, რომელმაც უფროს ძმას ურჩია, რომ უფრო დამთმობი ყოფილიყო. ეს ადვილი როდი იყო მისთვის, მაგრამ იესოს სიყვარულის გამო ამჯობინა, რომ "უკანასკნელი ადგილი" დაეჭირა, ის ადგილი, რომელიც ყველასთვის კურთხევაა.

2 სექტემბერი

რიგითი XXII კვირა [II] მწ

2019 ორშაბათი

1თეს 4,13-18; ფს 95; ლკ 4,16-30

არცერთ წინასწარმეტყველს არა აქვს პატივი თავის მამულში ლკ 4,24

იესო იმყოფება სინაგოგაში და ფეხზე დგება, რომ წმიდა წერილი წაიკითხოს: წინასწარმეტყველი აუწყებს მის მისიას. ასე მას შეუძლია დაამტკიცოს, რომ წმიდა წერილი ხორცს ისხამს. ნაზარეთის მცხოვრებელთათვის შეუძლებელია, რომ თავიანთი თანამემამულე იყოს მესია, წმიდა წერილები რომ აუწყებდა, და მას განეშორებიან. მამაო, გვიბოძე შენი მდაბალი სული, რათა შევიცნოთ და მივიღოთ შენი ძე, იესო, რომელიც ჩვენს დასახსნელად და განსაკურნებლად წარმოგზავნე. გვიბოძე მდაბალი სული, რათა მივიღოთ ისინი, ვისაც ის გვიგზავნის დღეს.

3 სექტემბერი

2019

რიგითი XXII კვირა [II]

წმ. გრიგოლ დიდი, პაპი და მოძ., +604, (მ), თ;
(21.VIII) წმ. სარმეან კათ., +779;
წმ. ღირსი თადეოზ (თათე) სტეფანწმიდელი, მონაზ., VIს

სამშაბათი

1თეს 5,1-6.9-11; ფს 26; ლკ 4,31-37

აღაშენეთ ერთმანეთი, როგორც იქცევით კიდეც 1თეს 5,11

როგორ დავეხმაროთ ერთმანეთს? რა სახის დახმარება უნდა გავუწიოთ ერთმანეთს, მოციქულის სურვილისამებრ? მახსენდება, რომ შექმნის დასაწყისში ღმერთმა თქვა ადამზე: 'შევუქმნათ მას შესაფერისი შემწე', და შექმნა ევა. ისინი უნდა დახმარებოდნენ ერთიმეორეს, რომ შეხვედროდნენ მამას, გაეგოთ მისი ნება და შეესრულებინათ მისი სურვილები! შენც გთხოვ, რომ ამაში დამეხმარო.

2019 ოთხშაბათი

კოლ 1,1-8; ფს 51; ლკ 4,38-44

ვემადლიერებით ღმერთს... როდესაც თქვენთვის ვლოცულობთ კოლ 1,3

წმ. პავლე მოციქული კმაყოფილია თავისი ქრისტიანებით, მაგრამ ყალბი იმედი როდი აქვს: თუ ისინი ერთგულნი და შეუპოვარნი არიან ქრისტიანულ ცხოვრებაში, ეს მამის დამსახურებაა, რომელიც ლოცვებს ისმენს. მშვენიერია, როდესაც მორწმუნეთა საკრებულოში განიცდება ღმრთის სიტყვა, შესაძლოა გაჭირვებით, ვინაიდან მუდამ თან გვდევს ნაკლოვანებები და გაუგებრობები.

5 სექტემბერი

რიგითი XXII კვირა [II], მწ

წმ. დედა ტერეზა კალკუტელი, +1997, მოწყალების
მისიონერ დედათა კონგრეგაციის დამაარსებელი

2019 ხუთშაბათი

კოლ 1,9-14; ფს 97; ლკ 5,1-11

მან გვიხსნა სიბნელის ხელმწიფებისგან კოლ 1,13

სიბნელის ხელმწიფება ირწმუნება, რომ კვირა გართობის დღეა ყველაფრის ფასად, ნაცვლად უფლის დღისა, ლოცვასა და ძმებთან შეხვედრას რომ უნდა მიეძღვნას. სიბნელის ხელმწიფებისთვის წმიდა შაბათის ღამე არის საღამო, როდესაც მშვიდად შეგიძლია წახვიდე საცეკვაოდ. ის აგრეთვე ურჩევს ახალგაზრდებს, რომ გამოიყენონ გოგონები, მოატყუონ კიდეც ისინი, სიამოვნების მისაღებად. გმადლობ, იესო, რომ გვიხსენი ამ "სიბნელის ხელმწიფებისგან".

6 სექტემბერი

რიგითი XXII კვირა [II], მწ

2019 პარასკევი

კოლ 1,15-20; ფს 99; ლკ 5,33-39

ის არის უწინარეს ყოვლისა კოლ 1,17

დიახ, მწამს, რომ იესო მარადიული ღმერთია მამასთან და სულიწმიდასთან ერთად. მასში და მისთვის ცოცხლობს ყოველივე. მეც, შენც, გვაქვს ჭეშმარიტი სიცოცხლე, იგი რომ გვწამს და მასთან ერთნი რომ ვრჩებით. გმადლობ, იესო, რომ ჩვენთან ხარ და ყველას გვაძლიერებ.

2019 შაბათი

კოლ 1,21–23; ფს 53; ლკ 6,1–5

ყანებზე მოუხდა გავლა ლკ 6,1

იესომ თავის მოწაფეებთან ერთად ყანებზე გაიარა. მათ შიოდათ, თუმც კი შაბათი იყო, ნება მისცა, რომ თავთავები მოეწყვიტათ, მოეფშვნიტათ ისინი და ეჭამათ. ებრაელ ხელმძღვანელთა რჯულის განმარტებით, ამის კეთება შაბათ დღეს არ იყო კანონიერი. მადლობას გწირავთ, იესო, შენი გულმოწყალეობისათვის: როდესაც შენზე ვართ დამოკიდებულნი, ადამიანთა მიერ დადგენილი წესებისგან ვთავისუფლდებით.

8 სექტემბერი

რიგითი ჟამის XXIII კვირადღე, «გ», [III], მწ

2019 კვირა

სიბრძ 9,13-18; ფს 89; ფილიმ 9-10.12-17; ლკ 14,25-33

შობა ნეტარი მარადქალწული მარიამისა –
ვალეს კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ვინც თავის ჯვარს არ იტვირთავს, ჩემი მოწაფე ვერ გახდება ლკ 14.27

ეს სიტყვა შემახსენებს წლებს, როდესაც ჩვენი ორი ძმა დასნეულდა, შემდეგ კი გარდაიცვალა. ჩვენი საზრუნავი მათდამი მსახურება იყო, თითოეულს კუთვნილი საქმე გვქონდა. ეს იყო მძიმე ჯვარი, რომ-ლის ტარებაშიც იესო დაგვეხმარა, ჯერ ექიმების და მედდების შემწეობით, შემდეგ კი საჭირო დროს ჩარევის ძალა და შეძ-ლება მოგვცა. ამ "ჯვრით", ერთად რომ ვზიდავდით, იესომ მოგვმადლა, რომ მის მოწაფეებად დავრჩენილიყავით.

9 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირა [III]

წმ. პეტრე კლავერი, ხუც., +1654

2019 ორშაბათი

კოლ 1,24-2,3; ფს 61; ლკ 6,6-11

იგია, რომელსაც ვქადაგებთ *კოლ 1,28*

წმ. პავლემ ბევრი სატანჯველი გამოიარა, მაგრამ არ დაუჩივლია, არამედ ამბობდა, რომ ბედნიერი იყო ის ტანჯვით, რომელსაც განიცდიდა. იგი მოიცავს ჩვენს, როგორც მორწმუნეთა, ცხოვრებას როგორც იესო ქრისტეს ცხოვრების გაგრძელებას. კიდევ რამხელა ტანჯვაა საჭირო, რომ მართლაც განვიცადოთ უფლის ტანჯვა!

10 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირა [III]

(28.VIII) წმ. შუშანიკი, მოწამე, +475, (მ), წ

2019 სამშაბათი

კოლ 2,6-15; ფს 144; ლკ 6,12-19

ღმერთმა გაგაცოცხლათ მასთან ერთად კოლ 2,13

გმადლობ, კეთილო მამაო, რომ წარმოგზავნე იესო, შენი ძე, ჩვენს დასახსნელად ცოდვის მონობისაგან ჯვარზე მისი მსხვერპლით. მან მთელი ღამის განმავლობაში ილოცა, რომ მოწაფეთაგან თორმეტი ამოერჩია და თავისი სიყვარულის მოციქულებად დაედგინა ისინი. მისი ლოცვა ახალ, ჭეშმარიტ და ნაყოფიერ სიცოცხლეს გვაძლევს ჩვენც.

11 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირა [III] მწ

2019 ოთხშაბათი

კოლ 3,1-11; ფს 144; ლკ 6,20-26

შემოძარცვული გაქვთ ძველი კაცი და შემოსილნი ხართ ახლით კოლ 3,9-10

ეს სიტყვა შეგვახსენებს ნათლობის დაპირებებს, რომლებითაც უარი ვუთხარით წუთისოფელს და მის ცდუნებებს და ცხოვრება მივუძღვენით იესოს, მისთვის რომ ვიცოცხლოთ. ასე, როდესაც ტელევიზიით აჩვენებენ რეკლამებს, მგზნებარე გრძნობებს მღელვარებას ჰმატებს, "ახალი კაცი" მას გამორთავს. როდესაც ზაფხულში ჩაცმულზე მეტი 'გახდილი' ადამიანი ჩანს, მისი მზერა იესოსკენაა მიმართული, რათა დაანებოს მას, რომ მხოლოდ მან მიიზიდოს. გმადლობ, იესო, შინაგანი თავისუფლებისათვის, რომელსაც გვაძლევ, რომ შენს სიწმიდესა და უბიწოებაში ვიცხოვროთ.

კოლ 3,12-17; ფს 150; ლკ 6,27-38

ყოველივე გააკეთეთ უფალ იესოს სახელით კოლ 3,17

“რასაც არ უნდა აკეთებდეთ სიტყვით თუ საქმით, ყოველივე გააკეთეთ უფალ იესოს სახელით”. წმ. პავლე იესოზეა შეყვარებული, მისით არის შეპყრობილი. ისე ვერაფერს აკეთებს, უფალზე რომ არ იფიქროს, და არაფერს აქვს მისთვის ფასი, თუკი იესოსთან თანხმობით არ სრულდება! იგი ჩვენც გვირჩევს, რომ ასე ვიცხოვროთ: ეს ერთადერთი გზაა, რომ სავსე ცხოვრება გვქონდეს, რომ სიხარული გვქონდეს, რომელსაც ძმებსაც ვუწილადებთ.

13 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირა [III]

წმ. იოანე ოქროპირი, ეპ. და ეკ. მოძ., +407, (მ), თ

2019 პარასკევი

1ტიმ 1,1-2.12-14; ფს 15; ლკ 6,39-42

მადლიერი ვარ მისი, ვინც ძალა მომცა 1ტიმ 1,12

როდესაც იესოსადმი რწმენით ვცხოვრობთ, ისეთ საქმეებს ვაკეთებთ, რომლებსაც ადამიანურად ვერ შევძლებდით. ასეა წმ. პავლესთვისაც, მრავალი წმიდანისთვის და ჩემთვისაც და, რასაკვირველია, შენთვისაც. იესო, შენ ხარ ჩემი ძლიერება, ამიტომ შენ მოგენდობი და მადლობას გწირავ. შენ მაძლევ ძალას, რომ გავუძალიანდე ცდუნებას და არ განვსაჯო ძმები, არამედ კეთილგანწყობილი ვიყო მათ მიმართ.

14 სექტემბერი

ჯვართამაღლება, დ, [ს], წ

2019 შაბათი

რიცხ 21,4-9 ან, ფილიპ 2,6-11; ფს 77; იო 3,13-17

უნწის საკრებულოს დღეობა

უნდა ამაღლდეს ძე კაცისა იო 3,14

იესო მსხვერპლად იქნა გაღებული ღმერთისთვის, თავისი მამისთვის, რათა ეხსნა ყოველი ადამიანი, ვისაც მისი სწამს. მან იცოდა, რომ ამ ხსნის ხორცშესხმისათვის დიდი ტანჯვა უნდა გადაეტანა, ვიდრე ჯვარზე გააკრავდნენ. გმადლობ, იესო, რომ შენი მსხვერპლით მიხსენი ჩემი ცოდვისგან.

15 სექტემბერი

რიგითი ჟამის XXIV კვირადღე, «გ», [IV], მწ

2019 კვირა

გამ 32,7-11.13-14; ფს 50; 1ტიმ 1,12-17; ლკ 15,1-32

მგლოვიარე ნეტ. ქალწ. მარიამი არალში შუა ფარეხის
კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ცოდვილებს ღებულობს
და მათთან ჭამს ლკ 15,2

რაოდენ დიდია შენი სიყვარული, იესო! შენ გვიღებ ისეთებს, როგორებიც ვართ, ცოდვილებს, და გვთავაზობ შენს ტკბილ მეგობრობას. შენ გვესაუბრები, სწორ გზაზე მიგვიძღვი. გმადლობ, ჩვენ კმაყოფილნი ვართ შენით და გვსურს შენგან ვისწვლოთ გულმოწყალეობით ცხოვრება. გმადლობ!

16 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV]

წმმ. კორნელიუს პაპი, +253 და
კვიპრიანე ეპ., +258, წამებულნი (მ) წ

2019 ორშაბათი

1ტიმ 2,1-8; ფს 27; ლკ 7,1-10

მ. მიხეილ თამარაშვილის გახსენება (+1911)

ნებავს, რომ ყველა ადამიანი გადარჩეს 1ტიმ 2,4

რა მშვენიერი სიახლეა! ღმერთი მამაა ყველასთვის, იესომ კი თავისი სიცოცხლე გაიღო ყველას მიმართ სიყვარულის მსხვერპლად. ერთად ვიშრომოთ, რომ ხორცი შევასხათ ღმერთის ამ წადილს სიყვარულითა და ლოცვით, და ჭეშმარიტი მოწმობის ცხოვრებით.

17 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV] მწ

წმ. რობერტ ბელარმინო, ეპ., მოძ., +1621

2019 სამშაბათი

1ტიმ 3,1-13; ფს 100; ლკ 7,11-17

დედამისს ჩააბარა იგი ლკ 7,15

იესომ დედას ჩააბარა ვაჟი, რომელსაც სიკვდილმა დაჰხვია ხელი. ჩვენ საყვარელ ადამიანებსაც "გვაბარებს" იესო, თუნდაც გვეჩვენებოდეს, რომ სიკვდილმა დაჰხვია ხელი მათ. იესო მათ გვაბარებს ახალ თანაზიარებაში, სულიწმიდის თანაზიარებაში, რომელსაც თავად შეასხა ხორცი სიკვდილის დამარცხებით.

18 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV] მწ

2019 ოთხშაბათი

1ტიმ 3,14-16; ფს 110; ლკ 7,31-35

მოვიდა ძე კაცისა,... მებაჟეთა და ცოდვილთა მეგობარი ლკ 7,34

გმადლობ, იესო, რომ ბოლოსდაბოლოს მოხვედი ჩვენთან, ცოდვილებთან! გმადლობ, რომ კვლავაც მოდიხარ, ყოველ წუთს, რომ ჩვენთან იყო! შენ არ გეშინია და არც გრცხვენია ჩვენი სიგლახაკის. შენ იმ დედასავით ხარ ჩვენთვის, რომელიც თავისი ჭუჭყიანი ბავშვის დანახვისას გვერდიდან კი არ იშორებს მას, არამედ მისკენ იხრება და სიყვარულით ასუფთავებს, ახალ და სურნელოვან ტანსაცმელს აცმევს მას, შემდეგ საგანძურივით სიხარულით იკრავს გულში.

19 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV] მწ
წმ. იანუარიუსი, ეპ. და წამ., +IVს

2019 ხუთშაბათი

1,ტიმ 4,12-16; ფს 110; ლკ 7,36-50

იფხიზლე საკუთარ თავზე ... მტკიცედ მიჰყევი ამას 1,ტიმ 4,16

წმ. პავლე მიმართულებებს აძლებს ტიმოთეს, ჯერ კიდევ ყმაწვილს ასაკითაც და იესომდე გასავლელი გზითაც. მას აგრეთვე ეუბნება: "ნიმუში იყავი მორწმუნეთათვის – სიტყვაში, საქმეში, სიყვარულში, სულში, რწმენაში, სიწმიდეში". და ასრულებს: "ასეთი მოქმედებით საკუთარ თავსაც იხსნი და შენს მსმენელთაც". ჩვენც გულწრფელად ვაძლევთ რჩევებს მატ. ვინც გვიყვარს; ნურასდროს უგულებელვყოფთ სიფხიზლესა და პიროვნულ ვალდებულებას იესოსთან ერთობით ცხოვრებაში: ეს ხომ ძმების მიმართ სიყვარულის პირველი აქტია.

20 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV]

წმ. ანდრეა კიმის, მღვდლისა და
მეგობართა, წამ., +1839–1866, (მ), წ

2019 პარასკევი

1ტიმ 6,2-12; ფს 48; ლკ 8,1-3

იბრძოლე რწმენის კეთილი ბრძოლით 1ტიმ 6,12

“ზეცაში ეტლით ვერ შეხვალ” უთქვამს ვირაცას. დიახ, უნდა ვებრძოლო მას, რაც ჩემში და ჩემს გარშემო დამავიწყებდა დასახულ მიზანს ან სხვაგან გადამახვევინებდა. ესაა გზა, რომელზეც წვალებით უნდა გადავდგა ნაბიჯები, სწირად აღმართშიც. სიმართლეა, რომ ეტლით არ მივდივარ, არამედ... უკეთესიც! მე მყავს მრავალი ძმის საზოგადოება და, პირველ რიგში, იესოსთან არიან ხელჩაჭიდებულნი. მასთან ერთად ჩემი კეთილი ბრძოლა უკვე მოგებულია.

21 სექტემბერი

წმ. მათე,
მოციქული და მახარებელი, დ, [ს], წ

2019 შაბათი

ეფ 4,1-7.11-13; ფს 18; მთ 9,9-13

ისიც წამოდგა და გაჰყვა მას მთ 9,9

ვისაც იესო მოუხმობდა, მყისვე მიჰყვებოდნენ, გარდა იმ 'მდიდრისა', ვინც დამწუხრებული გაუყვა გზას. დანარჩენები, მათეს ჩათვლით, გრძნობდნენ, რომ იესო მათთვის იმ ყველაფერზე მეტი იყო, რასაც ტოვებდნენ, ის იყო გულმოწყალეობა მამისა, რომელიც მათ ღებულობდა. მათემ ამგვარი უწყება დაწერა: დღეს მე მსურს მისი დამოწმება და გახსნილი ვარ იმ ნაბიჯებისადმი, იესო რომ მომთხოვს იმ ვითარებებში, რომლებშიც აღმოვჩნდები.

ამ 8,4-7; ფს 112; 1ტიმ 2,1-8; ლკ 16,1-13

ყველას გამოსასყიდად გაიღო თავი 1ტიმ 2,6

მარტოსულად მნახე, იესო. შენ მნახე, რომ
არ შემეძლო თანაზიარება და სიხარუ-
ლი. შენ მნახე, რომ შორს ვიყავი ზეციერი
მამის მარადიული და მაცოცხლებელი
გულში ჩაკვრისგან. შენ არ გითქვამს: "თუ
იმსახურებს, დაე, ნუ ეცოდინება ჩემი სი-
ტყვა!". არა, ნაცვლად, შენ უთხარი მამას:
"წარმგზავნე ამ საბრალოს ცხოვრებაში!".
შენ მოხვედი, და ჩემს გულში რომ შემო-
სულიყავი, საკუთარი თავი გაეცი ჯვარზე:
მხოლოდ მადლობის თქმა შემიძლია შე-
ნთვის, იესო! მიყვარხარ!

23 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I]

წმ. პიო პიეტრელჩინელი, ხუც., +1968 (მ) თ

2019 ორშაბათი

ეზრ 1,1-6; ფს 125; ლკ 8,16-18

უფალმა მიბრძანა, რომ სახლი ავუშენო მას იერუსალიმში ეზრ 1,2

გადასახლების განსაცდელის შემდეგ, უფალს სურს თავისი ერი დააბრუნოს იერუსალიმში და აგრეთვე განამტკიცოს ის თავისი მყოფობით მასთან ტაძარში, რომელიც აღდგენილი უნდა იქნას. თავისი სიყვარულისა და გულმოწყალეობის ხორცშესასხმელად, მას წარმართი მეფე, კიროსი, სჭირდება. კარგად გავახელ თვალს და გულისყურით მოვისმენ: დღეს იესო მაჩვენებს თავის ნებას იმის მეშვეობითაც, ვინც ჯერ არ იცნობს მას: ყველა და ყველაფერი მის ხელშია.

24 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I] მწ

2019 სამშაბათი

ეზრ 6,7-8.12.14-20; ფს 121; ლკ 8,19-21

დედაშენი და შენი ძმები გარეთ დგანან, შენი ნახვა სურთ ლკ 8,20

რასაკვირველია, იესოსაც სურს მათი ნახვა. მაგრამ ზერელე შეხვედრისთვის როდი ხდება ასე: მათი ნახვა სურს იმ ხალხში, მას რომ უსმენს, რათა ღმერთის ჭეშმარიტი სახე და მისი სურვილები შეიცნოს. მარიამმა უკვე გააკეთა ეს და თქვა "აჰა", მნიშვნელოვანი სიტყვა ღმერთისა. ნაცვლად იმისა, რომ იესოს მოლოდინში საკრებულოს გარეთ დავრჩე, დღეს მსურს, რომ მას შევუერთდე...

25 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I] მწ

2019 ოთხშაბათი

ეზრ 9,5-9; ფს: ტობ 13,2-5; ლკ 9,1-6

არ მივუტოვებივარ თ ჩვენს ღმერთს ეზრ 9,9

რა მშვენიერი და ჭეშმარიტია ამგვარი დამოწმება! ერმა ბევრი შესცოდა, მკურნალად კი გადასახლება მოვიდა: მტკივნეული განსაცდელი, რომელშიც უფალმა თავისი მყოფობისა და სიყვარულის ნიშნები აჩვენა. მაშ, ჩვენც გავუმეოროთ ერთმანეთს სიხარულით: "ნახე, რა ახლოს იყო უფალი ჩვენთან? მარადიულია მისი სიყვარული ჩვენს მიმართ!".

26 სექტემბერი

2019

რიგითი XXV კვირა [I] წ
წმ. დიდმოწამე ქეთევანი, წამ., +1624 (მ);
წმმ. კოზმა და დამიანე, წამ., +IVს;
ნ. ლუიჯი ტეცა, +1923,
წმ. კამილოს ასულთა კონგრეგაციის დამაარსებელი

ხუთშაბათი

ანგ 1,1-8; ფს 149; ლკ 9,7-9

დიდებით გამოვჩნდები ანგ 1,8

წინასწარმეტყველი, უფლის სახელით, აგულიანებს ხალხს, რომ ყველამ თავისი წილი ვალდებულება აიღოს ტაძრის აღდგენისათვის: იქ აჩვენებს უფალი თავის დიდებას, მაშასადამე, თავის ერთგულსა და მოწყალე სიყვარულს. ესაა წინასწარმეტყველაბა ჩვენთვის, ღმრთის ახალი ერისათვის: ყველამ ერთად ვიშრომოთ სიხარულით, ვინ მიტევების აქტით, ვინ გულმოწყალეობით, ვინ კიდევ მოთმინებით... იესო გამობრწყინდება ჩვენს შორის: იგია მამის დიდება, ვინაიდან თავისი ჯვრით ყოველ ადამიანს იზიდავს საკუთარი გულისკენ.

27 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I]

წმ. ბიკენტი დე პოლი, ხუც., +1660, (მ), თ

2019 პარასკევი

ანგ 1,15–2,9; ფს 42; ლკ 9,18-22

მშვიდობას დავამკვიდრებ ამ ადგილზე ანგ 2,9

ანგია წინასწარმეტყველი აგულიანებს ხალხს, გადასახლებით დამცირებულსა და დატანჯულს, სწორედაც მისი კერპთა-ყვანისმცემლობის გამო: უფალს კვლავაც უყვარს თავისი ერი. ტაძარი, მისი მყოფობის ნიშანი, უწინდელზე უფრო დიდებული შეიქნება: მასში თავად დაამკვიდრებს მშვიდობას. გმადლობ, კეთილო მამაო, ვინაიდან არ გსურს, გული გავიტყდეს, როდესაც აღმოვაჩენ, რომ ისევ ცოდვილი ვარ: შენს ეკლესიაში მიბოძებ იესოს, ჭეშმარიტ მშვიდობას, და ჩემზე გამოაბრწყინებ შენი სახელის, გულმოწყალე და ერთგული მამის, დიდებას!

28 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I] მწ

წმ. ვიჩესლავი, წამ., +935;
წმმ. ლავრენტი რუის და მეგ., წამ., +1633–37;
(15.IX) წმ. აბბა იოსებ ალავერდელი, აბატი და ეპ., +570

2019 შაბათი

ზაქ 2,5–9.14–15; ფს: იერ 31,10–12.13; ლკ 9,43–45

აჰა, მოვიდვარ და დავმკვიდრდები შენს წიაღში ზაქ 2.14

მართლაც შემიძლია ვიამაყო ასეთი ღმერთით. იგი ესოდენ დიდი და წმიდაა, მაგრამ არ ეთაკილება, რომ მოვიდეს და დამკვიდრდეს ჩვენს შორის, უმცირესებსა და ცოდვილებში! მეტიც, სწორედ იმიტომ მოდის, რომ ჩვენ ის გვჭირდება! სწორედაც იმიტომ მოდის, რომ ადამიანებს გადასცეს თავი. ვის არ უნდა სიყვარულით ესოდენ სავსე ღმერთთან დამკვიდრება? ჩემს ცხოვრებაშიც სიხარულით ვუმზადებ ადგილს მას!

29 სექტემბერი

2019 კვირა

ამ 6,1.4-7; ფს 145; 1,გიმ 6,11-16; ლკ 16,19-31

ის აქ ნუგეშცემულია, შენ კი იტანჯები ლკ 16,25

თუკი ამ ცხოვრებაში მხოლოდ საკუთარი თავკერძობის დაკმაყოფილებაზე ვფიქრობ, სხვების გაჭირვებას ყურს არ ვათხოვებ, მამის სიყვარული, რომელსაც ახლა უარვყოფ, შემდეგაც ვერ შეძლებს ჩემს ნუგეშისცემას. ასე დაემართა იმ მდიდარსაც, რომელსაც არ ადარდებდა გლახაკი ლაზარე. საუკუნო სიცოცხლე, მაშასადამე სიცოცხლე, რომელიც მამასთან და ძმებთან სიყვარულის თანაზიარებაა, აქ და ახლა იწყება, და გარდაცვლილთა აღდგომით აღწევს სისავსეს. თავკერძობაც აქ იწყება, მაგრამ არაფრით სრულდება... ანდა უარესით.

30 სექტემბერი

რიგითი XXVI კვირა [II]

წმ. იერონიმე, ხუც. და მოძ., +420 (მ) თ

2019 ორშაბათი

ზაქ 8,1-8; ფს 101; ლკ 9,46-50

იქნებიან ჩემი ხალხი და ვიქნები მათი ღმერთი ზაქ 8,8

ისრაელის ხალხი, რომელზეც ამ სიტყვებს ამბობს ზაქარია წინასწარმეტყველი, უნდა ყოფილიყო ღმრთის ახალი ერის, ეკლესიის, წინასწარმეტყველება. ესაა საოცარი ოჯახი, რომელიც ღმერთს მოუხმობს მამის ტკბილი სახელით და რომელიც გულით ატარებს მისი სიყვარულის სულს. ნათლობის და ძე იესოსთან მუდმივი ურთიერთობის წყალობით, ჩვენც ამ ოჯახის ნაწილი ვართ: მადლობა შევწიროთ და სიხარულით ვიცხოვროთ.